წელიწადი მეორე

ახალი საქართველო

Deuxième année.

«რომელი კომუნისტი იტყვის, რომ თბილისი საქართველოს დედა ქალაქი არ არის».

მამია ორახელაშვილი

(აჭარისტანის ცაკის სხდომაზე ნათქვამი).

PARIS
20 Janvier 1926
N° 18

Bi-mensuel Géorgien "LA GÉORGIE NOUVELLE" — Directeur-Éditeur : G. Veshapely

ორკვირეული ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

პარიზი
20 იანვარი 1926 წელი
ფასი 50 კაპ

Adresse : 3, Impasse Crozatier, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Abonnement : 20 frs pour 6 mois (Pour l'Étranger. Un an. .. .. 100 francs) | Prix du Numéro : Étranger 25 cents américains, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის მეტყობინება.

წერილები და საგაზეთო მასალა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Boîte Postale N° 7, Paris XII

A partir du 1er décembre, le journal *La Géorgie Nouvelle* est distribué dans la région de Paris par les Messageries de journaux Hachette.

On peut réclamer notre journal :

I. Dans les bibliothèques des stations suivantes du Métropolitain : *Champs-Élysées, Porte de Vincennes, Bastille, Étoile, Châtelet, Pigalle, Clichy, République, Opéra, Saint-Michel, Odéon, Porte d'Orléans, Trocadéro, Passy, Italie, Pasteur, Porte d'Auteuil, Concorde, Saint-Cloud, rue du Bac* (Nord-Sud).

II. Dans les bibliothèques des gares des chemins de fer : *Lyon, Montparnasse, Saint-Lazare, Nord, Est.*

III. Dans les gares des chemins de fer de la banlieue : *Arpajon, Saint-Denis.*

IV. En province : *Marseille, Audincourt.*

პარიზი, 20 იანვარი

სამშობლოსაკენ

ერთი კვირის წინ მარსელიდან გაემგზავრა გემი, რომლითაც ბრუნდება საფრანგეთიდან საქართველოში ახალი ჯგუფი ქართველი ემიგრანტებისა.

ამ ჯგუფში არიან: ლელი ჯაფარიძე, წევრი ყოფილი ნაციონალ-დემოკრატიულ საზღვარგარეთელი ბიუროსი.

—ვანო კაჩუხაშვილი (კაჩუხიძე).

—სარგის გლახოიანი (მენშევიკური პარტიის მთავარი შტაბის ყოფილი წევრი.

—ვანო იმნაძე (მეუღლით), ფოთის ქალაქის საბჭოს ყოფ. ხმოსანი.

—სოსო გოგინაშვილი (მეუღლით), ცხინვალის პარტიის შტაბის ყოფ. თავმჯდომარე.

—ვანო ნაცვლიშვილი, რკინისგზელი.

ამ ჯგუფიდან ლ. ჯაფარიძის გარდა ყველა სოციალ-დემოკრატებია; მათ შორის უმრავლესობა პარტიის წევრია 1908 წლიდან და თითქმის ყველანი გადმოსახლებული იყვნენ საქართველოდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს ჯგუფი ბრუნდება სამშობლოში, თუმცა არავითარი პოლიტიკური დეკლარაცია მათ არც ჩვენ გაზეთში და არც სხვაგან არ გამოუქვეყნებიათ.

ამგვარათ ემიგრაციის ლიდერებს მოესპოთ კიდევ ერთი საშუალება ჭორიკანობისა, თითქოს საბჭოთა საქართველოში დასაბრუნებლათ ქართველ მოქალაქესათვის აუცილებელია სპეციალური პოლიტიკური დეკლარაციის გამოქვეყნება.

აგვისტოს შემდეგ ეს მეორე ჯგუფია ქართველ ემიგრანტებისა, რომ ბრუნდება სამშობლოში.

სრული იმედი გვაქვს, რომ ემიგრაციის ყინული მალე დაიძრება და უფრო დიდ ნატეხს წაიღებს შავი ზღვით ბათუმისაკენ.

ქართველი მენშევიკები და ფაშისტები უძლურნი არიან ამ პროცესის წინაშე, რომელსაც ქვიან სამშობლოსაკენ ლტოლვა ემიგრაციისა.

მალე ემიგრაციის შეფეს შერჩებათ, როგორც მასალა თავიანთი გამინისტრებისა, მხოლოდ «ასობი ატრიადი» ან და ის ტიპები, რომელნიც პოლიტიკურ ცოდვებზე უფრო დატვირთული არიან სისხლის სამართლის დანაშაულით.

თბილისის გაზეთი «კომუნისტი» ეხება რა ამ საკითხს, სწერს: (24. XI). «მთავრობა ხელს უწყობს და შეუწყობს მომავალშიც ყველას, ვინც დადგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, დაჰგმობს კონტრ-რევოლუციონური ემიგრაციის გზას და მოისურვებს სამშობლოში დაბრუნებას.»

როგორც უკანასკნელ წუთში გავიგეთ, დაბა ოდენკურში, სადაც ასამდე ქართველი ემიგრანტი (მათ შორის ბევრი მხედარია) მუშაობს პეჟოს ქარხანაში, მწვავე ინციდენტი მომხდარა საქართველოში დაბრუნების ნიადაგზე.

ვინაიდან ამ ჟამათ ჩვენ სრული ინფორმაცია არ მოგვეპოება, ამ საქმეს დაწვრილებით შემდეგ ნომერში მოვახსენებთ მკითხველთ.

საერთაშორისო

მიმოხილვა

ლოკარნოს პაქტი და ოსმალეთის ხელშეკრულება საბჭოებთან.

ლოკარნოს პაქტმა ქართულ ემიგრაციას გერმანიის ორიენტაციის ინგლისისკენ გადახრის იმედები გაუღვიძა.

ეს იმედები ფანტაზია არის.

ახალ გერმანიას თავისი საკუთარი მიზანი აქვს: დაკარგული ტერიტორიის და კოლონიების მოპოება;

ამისთვის დღეს გერმანიას ომი არ შეუძლია.

ამიტომ იგი ცდილობს მორიგებით აღადგინოს სწორწონაობა თავის მეზობლებთან (საფრანგეთთან), თანდათან მეტი დაათმობინოს და თანდათან ფეხი მოიმაგროს უკეთესი მომავლის მოლოდინში.

მაგრამ ამისთვის, რასაკვირველია, გერმანია უარეს ომს და უარეს რისკს არასოდეს არ გასწევს და ინგლისისათვის შეშწვარი წაბლის გამოღებას ბალშევიკური ცეცხლიდან არ დაიწყებს.

ახალ გერმანიას კარგათ ახსოვს, თუ რა დაუჯდა ძველ გერმანიას ბისმარკის ანდერძის დარღვევა და რუსეთთან დატაკება.

ქართული ემიგრაციის ძველი თაობა ყოველ შემთხვევაში ფიზიკურადაც ვერ მოესწრებოდა ამ ახალ ომს.

მეტი რეზონი აქვს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ლოკარნოს პაქტს ინგლისი უფრო ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიყენებს და მოსულის საკითხის გადაწყვეტის დროს ხელგახსნილათ იმოქმედებს, რადგან საფრანგეთი, რომელიც ინგლისმა უზრუნველყო რეინზე, უზრუნველყოფს ინგლისს ბოსფორში.

მაგრამ ამ პერსპექტივამ უკვე სრულებით საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვია.

იზოლიაციით დაშინებულმა ოსმალეთმა დააჩქარა მოსკოვის მხრივ ძველი თავის დაზღვევის განახლება.

ამის შედეგია ის ხელშეკრულება, რომელიც დაიწერა პარიზში გ. ვ. ჩიჩერინის ყოფნის დროს.

ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა და ოსმალეთმა ნეიტრალიტეტის გარანტია მისცეს ერთმანეთს რაიმე გართულების დროს.

როგორც კი ხელშეკრულების ამბავი გამოქვეყნდა, ევროპის პრესა აღელდა:

ჩიჩერინს გერმანული «რაპალოს» ოსმალური «რაპალოთი» შეცვლა დააბრალეს.

ზოგიერთმა კი მოსკოვ-ანგორის პაქტში დაინახა პირდაპირ სურვილი ახალი აზიური ლიგის შექმნის (საბჭოთა კავშირი-ოსმალეთი-ჩინეთი), რომელიც დაუპირდაპირდება ევროპის, ჟენევის, ერთა ლიგას.

რასაკვირველია, ეს პერსპექტივები გადამეტებულია.

მით უფრო გადამეტებულია ის ხმები, თითქოს მოსკოვ ანგორის ახალ ხელშეკრულებას თან ახლავს საიდუმლო მუხლები, რომლის მიხედვით, თუ ოსმალეთს ომი შეემთხვა ინგლისთან, საბჭოთა კავშირი ნებას დართავს ოსმალეთს ისარგებლოს ბათუმით, როგორც ბაზით. ან და თითქოს, თუ ოსმალეთ-ინგლისის ომი მოხდა, ოსმალეთს საშუალება ექნება მოხსნას თავისი ჯარები კავკასიის ფრონტიდან და მოსკოვის მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ სომხეთის და საქართველოს ჯარები არ გადალახავენ არსებულ საზღვარს.

ეს ხმები იმიტომაა გადამეტებული, რომ დღეს ომისკენ არავინ მიისწრაფის და მით უფრო საბჭოთა კავშირი.

რაც შეეხება ბათუმს, სწორეთ საბჭოთა რუსეთის დახმარებით იყო, რომ იგი საქართველოს გასაბჭოების დროს ოსმალეთს არ შერჩა.

განა ნოე ჟორდანიას ტელეგრამების (მათი მოწმე მე თვითონ გახლდით) წყალობა არ იყო, რომ ანგორის ჯარებმა აჭარისა და ბათუმის ოკუპაცია მოახდინეს?

ნ. ჟორდანიას იმის იმედი ქონდა, რომ ოსმალები და რუსები ერთმანეთს დაეტაკებოდნენ ბათუმისათვის და მენშევიკური მთავრობა ამითი კიდევ ხელს მოითქვამდა.

ჟორდანიას ელჩს ანგორაში ს. მდივანს კი პირდაპირ ისე ეგონა, რომ ოსმალეთს უკვე ომი დააწყებინა რუსეთის წინააღმდეგ.

ჟორდანიამ და ს. მდივანმა მხოლოდ პარიზში ჩამოსვლისას გაიგეს, თუ ვისი ორიენტაციის იყო ქემალ ფაშა.

გენერალ მაზნიაშვილის ხიმამაცემ, ქართული რევკომის გაბედულმა ბრძანებამ და მოსკოვის მთავრობის დიპლომატიამ მოაგვარეს ჟორდანიას მიერ შექმნილი ინციდენტი და კიაზიმ ბეის ოსმალურმა გარნიზონმა დასტოვა, როგორც იყო ბათუმი.

დიპლომატიურ ენაზე ეს იმით გამოიხატა, რომ ყარსის ხელშეკრულებით (1921 წ., ოქტომბერი) ოსმალეთმა «დაუთმო» ბათუმის სუვერენიტეტი საქართველოს რესპუბლიკას, ადგილობრივი ავტონომიის დაწესებით და ტრანზიტის უფლებით.

თუ ასე მოხდა 1921 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამაგრებული კავკასიაში,—როგორ დაუთმობს დღეს, მეცხრე წელიწადში გადასული საბჭოთა მთავრობა ბათუმს ოსმალეთს, როგორც ბაზას ინგლისთან ომისათვის.



ჩხენკელის ორმაგი ბუღალტერია

მეორე მხრივ, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირი ვერ ისარგებლებდა ამ ომით იმისათვის, რომ ჩამოერთვას ოსმალეთს ის ტერიტორიები, რომელიც ოსმალეთმა ბრესტლიტოვსკის შემდეგ წაიღო სომხეთიდან და საქართველოდან (ყარსი, არდაგანი, ართვინი).

მიუხედავათ ამისა ემიგრანტულმა რუსულმა პრესამ მაინც საჭიროდ დაინახა ფანტასტიური ცნობის გავრცელება, თითქოს ოსმალეთი უკან აბრუნებს ყარს-არდაგან-ართვინს, როგორც კომპენსაციას საბჭოთა კავშირის საგარანტიო პაქტისა.

ამიტომ ამ ტერიტორიების ბედი უნდა აინტერესებდეს ჯერ კავკასიის ფედერაციას, კერძოდ საქართველოს და სომხეთს. მხოლოდ იმდენათ, რამდენათ საჭიროა და შესაძლოა ამ ტერიტორიებზე მობინადრე თ. კისტომთა ნაციონალურ-კულტურულ განვითარების ხელისშეწყობა. ასევე ითქმის ლაზისტანზე.

გ. ვეშაპელი

დ. მხეიძის საქმე

გაზეთ „კომუნისტის“ გაფრთხილება

საქართველოს მთავრობის ორგანოში (№ 300, 31. XII. 25) მოთავსებულია შემდეგი მეთაური:

...«ემიგრაციის ლიკვიდაციაზე ევროპაში მენშევიკები უპასუხებენ სრულიად დაუშვებელი და აღმაშფოთებელი საშუალებებით.

კუზიან რამიშვილს არ უნდა გონს მოვიდეს და ყველას, ვინც აღიარებს თავისი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებს, ტერორითა და მუშტი. კრივით ემუქრება...

ჩვენს გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა პარიზიდან იმის შესახებ, რომ საქართველოში მოემგზავრება ემიგრანტების ახალი ჯგუფი. ჩვენ გვაცნობებენ, რომ მათ მიმართაც შესაძლებელია თავისებური რეპრესიები რამიშვილის „ოხობატრიადჩიკების“ და საიდუმლო პოლიციის მხრივ.

მეორე მხრივ ასეთსავე საფრთხეშია ცნობილი დავით მხეიძეც, აგვისტოს აჯანყების ხელმძღვანელი სამეგრელოში.

...ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოქალაქე მხეიძე, რომელიც აუჯანყდა საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, დამარცხდა, მაგრამ მაინც სურდა ჩვენთან ბრძოლა ემიგრაციაში,—გამოცდილებით დარწმუნდა თავისი გზის შეცდომაში და თავისი ბელადების უპატიოსნებაში. მას ეყო გამბედაობა ეთქვა ეს, ეღიარებია თავისი შეცდომა და ნებაყოფლობით წამდგარიყო ასეთი განცხადებით ჩვენი წარმომადგენლის წინაშე ევროპაში. ამისათვის ის დევნას განიცდის ყოფილი მთავრობის მხრივ, რომელმაც პროვოკაციულად არა მარტო მხეიძე ჩააბა აგვისტოს ავანტიურაში.

ჩვენთვის საკმაოა მარტო ეს ფაქტი, რომ გულგრილად არ ვუცქიროთ იმას, თუ რა მოელის მოქ. მხეიძეს და სხვებს, რომლებიც მის მსგავსათ დაადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბოლოოდ შერიგების გზას.

საბჭოთა ხელისუფლება შურს არიძიებს. ამაში დარწმუნდენ არა მარტო ისინი, რომლებიც აქ, ადგილობრივ, მოვიდენ ჩვენთან პატიოსანი თანამშრომლობის მიზნით, არამედ ის ქართველი ემიგრანტებიც, რომლებიც უცხოეთიდან დაბრუნდენ საქართველოში.

მაგრამ იცოდენ ბატონმა რამიშვილ-ჩხენკელებმა, რომ ჩვენ მივაღწიეთ მოთმინების საზღვარს და თუ ბატონი ჩხენკელი არ შესწყვეტს პარიზში თავის სისაძაგლეს (რომელიც უკანასკნელათ „ელჩი“-ს სრული მარცხით დამთავრდა). ჩვენ იძულებული შევიქნებით სისრულეში მოვიყვანოთ ის სიტყვები, რომლებიც საკმაო გარკვევით ვთქვით ჩვენი გაზეთის 28 აგვისტოს ნომერში.

„ხელი, რომელიც დააპირებს იარაღის აღებას, მშვიდობიანობის და წესრიგის დარღვევას,—მოკვეთილი იქნება დაუყონებლივ“.

ბატონი ჩხენკელი და რამიშვილი გვაიძულებენ ჩვენ შევასრულოთ ეს დაპირება და ჩვენ ამას არ დავაყოვნებთ.

ამ ხელს ჩვენ მოვკვეთთ.

ჩვენს მეგობრებს კი, სადაც არ უნდა იმყოფებოდენ ისინი, ჩვენ დავიცავთ.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი განმარტება

დ. მხეიძის შესახებ

თბილისის და, აგრეთვე, პარიზის გაზეთებმა შეცდომები დაუშვეს დ. მხეიძის საქმის მოყოლაში.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი შესწორება და განმარტებაც.

საქმე იყო ასე:

დ. მხეიძე მივიდა თავისით საბჭოთა საკონსულოში დეკემბრის პირველ რიცხვებში და ითხოვა რეპატრიაცია საქართველოში, სასამართლოს წინაშე წარსადგენათ.

ვინაიდან ამ საკითხზე საჭირო იყო საბჭოთა პოლიტიკური წარმომადგენლობის აზრი და შეკითხვა, დ. მხეიძეს მოუხდა საელჩოშიც მისვლა.

საელჩოში დათანხმდენ შესაფერი დეპეშით საქართველოს მთავრობის შეკითხვას ამ საგანზე; გაიგზავნა აგრეთვე დ. მხეიძის თხოვნით შეკითხვა მისი ოჯახობის მდგომარეობის შესახებ. (როგორც ვიცით, ამ ჟამათ, მოსულია ვიზა დ. მხეიძის დასაბრუნებლათ, რაიც საბჭოთა კანონით ამნისტიას უდრის, და აგრეთვე მოსულია ცნობა, რომ დ. მხეიძის ოჯახობა კარგათ არის)

მხოლოდ ამ დემარშების შემდეგ, როცა დ. მხეიძის წასვლა საქართველოში შესაძლებელი გახდა, მან მოისურვა განემარტა გაზეთ «ახალი საქართველოს» საშუალებით თავისი პოლიტიკური ნაბიჯი და მოვიდა რედაქციაში იმ წერილით, რომელიც დაიბეჭდა დაგვიანებით ჩვენი გაზეთის № 17, 5 იანვარს.

დ. მხეიძის მოსვლისთანავე, ჩვენ გავიგეთ რომ ლეგაცია და დ. მხეიძის ზოგიერთი ყოფილი პოლიტიკური მეგობრები აცხადებენ მას არანორმალურ პიროვნებათ და მათ თურმე შესაფერი ნაბიჯებიც გადადგეს ფრანგულ პოლიციის წინაშე რომ ეს «არანორმალური» პირი მათ დაუბრუნდეს «საექიმოთ».

ამ პროვოკაციისგან თავის დასახსნელათ დ. მხეიძემ მიმართა ჯერ ფრანგ ექიმთა კონსილიუმს და შემდეგ ფრანგ ადვოკატს.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ემიგრანტებმა მაინც ჩაიგდეს ხელში დ. მხეიძე.

14 დეკემბერს მასთან მივიდა ოტელში მთელი ჯგუფი და იგი ავტომობილით წაიყვანეს ჯერ ერთი ცნობილი მეგრელი პოლიტიკური მოღვაწის ბინაზე და შემდეგ კი, როგორც გაზეთმა «მატენ» გამოაშკარავა, დ. მხეიძე გადაყვანილ იქნა ერთ-ერთ ფრანგულ სანატორიუმში;

«მატენ»-ის ცნობით ისე გამოდიოდა, რომ დ. მხეიძე, ავადმყოფი კაცი, ემიგრანტებს განთავისუფლებია ბოლშევიკური ხეკვესტრისაგან და მოუთავსებიათ საექიმოთ სათანადო საავადმყოფოში.

თუ რა ხასიათის იყო ეს «საექიმო» რეჟიმი, ნათლად გამოირკვა როცა რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ფრანგულმა გაზეთმა «პეტი პარიზიენ»-მა გვაცნობა რომ დ. მხეიძე გაქცეულა სანატორიუმიდან (იგი გადმოხტარიყო 8 მეტრიან კედელზე), შემდეგ ისევ ისე ამ «მეგობრების» წყალობით დ. მხეიძე დაეჭირათ და გადაეყვანათ სხვა სანატორიუმში (ალბათ პირველში მოზეზრდათ ეს ხათაბალა). ამ ახალ სანატორიუმში დ. მხეიძეს ახალი სკანდალი მოეწყო (გაზეთის თქმით გაელახა საავადმყოფოს მსახურები. ჩვენი ინფორმაციით კი დ. მხეიძეს გაულახავს თვით ერთ-ერთი იმ არამკითხე «პოლიტიკური მეგობართაგანი», რომელნიც გაზეთის ცნობით დღე და ღამე გარს ერტყა დ. მხეიძეს, რომ იგი კვლავ არ გაქცეულიყო.

ამ სკანდალის შემდეგ, «მატენის» ცნობით დ. მხეიძე გადაყვანილ იქმნა სრული იზოლიაციის რეჟიმზე.

«სრული იზოლიაციის რეჟიმი» —ეს საგიჟეთი გახლავთ.

ამ გვარათ გამართლდა ჩვენი შიში:

იმისთვის, რომ საშუალება არ მოესპოთ მარშანდელ აჯანყების დროს დაღვრილი სისხლიდან პროცენტებისა, ლეგაცია და ჟურნალ «სამშობლოს» ჯგუფი არ შეჩერდენ ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაულის წინაშედაც კი.

მათ გაიტყუეს დ. მხეიძე მისი ნერვიული იჭვიანობის პროვოკაციული გამოყენებით და შემდეგ ისეთ საშინელ პირობებში მოაქციეს, რომ სრულებით ჯანსაღი ადამიანიც კი შეიძლება გაგიჟდეს.

ამ ჟამად ჩვენ არ შეგვიძლია გავაკეთოთ ყველა დასკვნები და მოვახსენოთ მკითხველს ყველა კომენტარია ამ საქმისა, რადგან ამის შესახებ გამოძიება სწარმოებს ფრანგული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ (ადვოკატ ტორესის მოთხოვნით).

მაგრამ ერთი რამეს თქმა კი შეგვიძლია ეხლავე ემიგრაციის იმ გულუბრიყვილო ნაწილის საყურადღებოთ, რომელიც მისმა ლიდერებმა მართლა დააჯერეს. —«ვეშაპელმა მხეიძე მოიტაცა»-ო (თითქო მხეიძე ქალიშვილი ყოფილიყო, ან მანდილოსანი!) —თუ მხეიძე «გიჟი» იყო, რატომ იყო იგი ასე წყნარათ მთელი კვირის განმავლობაში, ბოლშევიკური «ტყვეობის» დროს, სახლშიც და ქუჩაზედაც და რატომ დაიწყო მან ასეთი მართლაც ამერიკული ტრიუკები და სკანდალები, როგორიცაა კედელზე ხტომა ან და ხალხის გალახვა, მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოხვდა მისი «მეგობრების» ხელში «საექიმოთ»?

ერთი თქმულება ამბობს, რომ კარგი ცხოვრებიდან არავინ გარბისო. მით უფრო არავინ გადახტება ხაქენიან კედელზე!

ამიტომ მივმართავთ ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს საზოგადოებრივი სინიდისის ლოღიკა, —ჩაერიონ მართლაც უბედური დავით მხეიძის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში და იხსნან იგი, როგორც ადამიანი მაინც.

ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს, უფლება აქვთ დაამწყვდიონ კაცი, რომელიც თუ ავადმყოფი არის, მხოლოდ იმითი, რომ მას თავის სამშობლოში და თავის ოჯახში დაბრუნება მოეწყურა და, რომელსაც, გარდა ნათესავისა, ვერავინ მოუვლის ისე, როგორც საჭიროა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ვიზის მიცემით და ამნისტიით სათანადო საშუალება მისცა დავით მხეიძეს, დაუბრუნდეს სამშობლო კერას და ოჯახს.



ვინაიდან «ბრძოლა» უარყოფს დ. ვაჩნაძის ამბავს, ვბეჭდავთ კლიშეთი მისი წერილის შესაფერ ადგილს. შესადარებლათ მოგვყავს წერილის მომართვა და ხელისმოწერაც.

ნუ თუ ემიგრაციის ლიდერებს უფლება უნდა მიეცეს, მიუხედავათ ამისა, დაღუპონ საგიჟეთში უბედური კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალონ აჯანყების დანარჩენ მონაწილეთ, გაყვენ დ. მხეიძის გაბედულ პოლიტიკურ ნაბიჯს და დასტოვონ ემიგრაცია?

ემიგრაციის ლიდერები ჩადიან ამას იმიტომ. რომ მათთვის უფრო საშიშია საბჭოთა ხელისუფლების ლმობიერება და ასეთი ამნისტიით ყოფილი ანტიბოლშევიკების შერიგება, ვიდრე ისეთი აკტი რეპრესიისა, რომელიც დააშორებდა ხელისუფლებას მმართველი პარტიის გარეშე მყოფი ხალხის ნაწილისაგან.

დროა, რომ ემიგრაციის მასამ, რომელსაც არავითარი ინტერესი არ აქვს, გადაყვეს საზღვარ გარეთ მყოფ ყოფილი ქართველი მინისტრების ან და კანდიდატების გამინისტრებას, —ანგარიში გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას და საშუალება მოუსპოს ემიგრაციის ლიდერებს, პროვოკაციულათ და ხელოვნურათ დაუკეტონ ემიგრანტებს სამშობლოში მიმავალი გზა.

რედაქცია.

მენშევიკური ლეგაციის

წინააღმდეგ

კაიოს გაზეთის გალაშქრება.

კაიოს ორგანოში: «La Volonté» (15. 1. 26) მოთავსებულია წერილი, მიმართული ქართველი მენშევიკების ლეგაციის არსებობის წინააღმდეგ საფრანგეთში.

მოგვყავს ამ წერილის დასკვნები:

—«როდესაც საფრანგეთმა იცნო ოფიციალურათ საბჭოთა მთავრობა, მან იცნო იგი იურიდიულათ ყველა ტერიტორიებზე, სადაც ვრცელდება საბჭოთა აუტორიტეტი.

იყო თუ არა მაშინ საქართველო ამ ტერიტორიათა შორის?

იყო და მაშასადამე ქართველების წარმომადგენლობაც არის მხოლოდ საბჭოთა საელჩო.

მაგრამ პრაკტიკულათ ქართველები წარმოდგენილი არიან ორი ორგანიზმით: საბჭოთა საელჩოთი და მენშევიკური ლეგაციით.

ასეთი აბსურდი დაუშვებელია.

რას ვიფიქრებდით ჩვენ (ფრანგები), რომ ერბერტის გვერდზე მოსკოვში საბჭოთა მთავრობას დაეშვა მოროკოს წარმომადგენლობაც?

რას ვიტყოდით ჩვენ, რომ ასეთ საელჩოში გამოცემულიყო დიპლომატიური იმუნიტეტით დაცული გაზეთი, მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ?

ამას ჩადის კი სწორეთ მენშევიკური ლეგაცია, ვინაიდან მისი მისამართი აწერია ჟურნალ «ბრძოლას».

დროა, მოხდეს არჩევანი და შეწყდეს ასეთი ორაზროვანი მდგომარეობა, რომლის გაგრძელება არავის ინტერესს არ შეადგენს.

საფრანგეთის მთავრობამ უკვე მოახდინა თავისი არჩევანი, როცა მან უფლებები, რომელსაც მიანიჭა საბჭოებს ის უფლებები, რომელსაც იძლევა იურიდიულათ ცნობა

მაგრამ დროა, რომ საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადოს ეს!»

რასაკვირველია, ფრანგული გაზეთის შედარება, საქართველოსი მაროკოსთან, ჩვენ მეტადორათ მიგვაჩნია.

ემიგრანტის წერილი

გაზეთ «ახალი საქართველოს» რედაქტორის მიმართ.

საქართველოს სოვეტიზაციის წინა ხანებში ისეთი ინფორმაცია იყო, რომ არავის ეგონა, თუ ბოლშევიკები შემოვიდოდენ საქართველოში და ადამიანის ჭამას არ დაიწყებდნენ.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არა ბოლშევიკი (ასი და 50 პროც. ერთი პარტია არც ერთ ქვეყანაში არ არის) დიდი და პატარა, გარბოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ—ბათუმამდე და ბევრთა საუბედუროდ გათუმსაც ბაცილდენ.

ეს ინფორმაცია იყო აგრეთვე მიზეზი იმისა, რომ მენშევიკებმა მოასწრეს გატანა ქართველი ერის კუთვნილი უამრავი ქონებისა.

სინამდვილემ ძალე შესცვალა მდგომარეობა. საზოგადოება გაკვირვებული იყო იმ მშვიდი ცხოვრებით. რომელიც დამყარდა საქართველოში.

მაგრამ საუბედუროთ «მრავალთა», ქუჩაში გაჩნდა მეორე ინფორმაცია,—რომელიც არწმუნებდა ქართველ მშრომელ ხალხს, რომ ეს სიმშვიდე დროებითი ტაკტიკაა.—რომ საქართველოს, როგორც განაპირა ქვეყანას, ჯერ—ჯერობით უხვავენ ხელს, რათა შეაყვარონ ხალხს თავი, ხოლო შემდეგ კი ერთბაშად აინაზღაურებენ, რაც ამდენი ხანი შეიკავესო.

ამავე ინფორმაციით ბოლშევიკებს გაქონდათ საქართველოდან ვაგონები, ორთქლმავლები, ოქრო ვერცხლი, თუმცა ქართველ ერს რაღა ოქრო ვერცხლი დარჩა მენშევიკების მართვა-გამგეობის შემდეგ?

ამავე ინფორმაციით ამბობდენ,-ბოლშევიკები გადიან; უკვე ბრძანება აქვთ ცენტრიდან, თუ ევროპიდან, საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგება, მთავრობა ბრუნდება და სხვა...

საუბედუროთ, იმდენათ ბევრი სხვა და სხვანაირი იყო ეს ჩუმი ხმები, რომ ხალხი გაზეთის მაგიერ რუსთაველზე დადიოდა ქვეყნის ამბავის გასაგებათ.

გაზეთები-სინამდვილე ხალხს დაავიწყდა. მენშევიკები ყოველ დღე მოდიან კრეისერებით, დატვირთული გემებით, აეროპლანებით, და ცხენებითაც კი (იტალიაში ოთხასი ჯიშიანი ცხენი შეიყიდესო მომავალი ქართული კავალერიისთვის), იყო ამბავი.

ასეთი ინფორმაცია, საგრძნობ ნაწილს ქართველი ერისას გულს უცრუებდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და არ აძლევდა საშუალებას პატიოსანი, გულწრფელი თანამშრომლობისას საბჭოთა ხელისუფლების—მმართველობის ქვეშ, რამაც საბედისწერო როლი ითამაშა ქართველი ერის ცხოვრებაში და განსაკუთრებით ქართველი ინტელიგენციისათვის.

ევროპიდან მოდიოდა ზედი—ზედ «მფრინავი ფოსტა». რომელსა ხალხი უკვე არ უჯერის, უწოდებს «ჭორიკანებს», მაგრამ რომელიც მაინც რაზმავს საგრძნობ ნაწილს ხალხისას და მიყავს მარშანდელ ავანტიურამდის.

წყდება დროებით ინფორმაცია. იმის ხალხის წყევლა—კრულვა: რათ გვიქნეს, რათ ჩაგვყარეს ცეცხლში და სხვა.

მოდის ახალი განმარტება ევროპიდან, კიდევ მოდის ინფორმაცია, კიდევ მოდიან ბოლშევიკები, კიდევ მოდიან მენშევიკები, ბოლშევიკების ცნობები სიცრუეა, თითქმის საბჭოთა ხელისუფლების სინამდვილეც სიცრუეა.

რამია საქმე? რა არის მართალი, ნუ თუ ბოლშევიზმი მართლაც ბარბაროსობაა და ევროპა თავისი კულტურით კაცთმოყვარეობა! ნიშნავს?

უნდა დავრწმუნდე სინამდვილეში, უნდა ვნახო ჩემი თვალით ეს «ევროპა».

ქართული ანდაზაა: «ებრაელი წყალს მიქონდა და გზაც იქით ქონდაო». მეც ასე ვლაპარაკობდი.

საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა გულწრფელათ მე არ შემეძლო ამ ინფორმაციის გამო. გადავწყვიტე იმის ნახვა, თუ მენშევიკები ასეთი ავტორიტეტით არიან აღჭურვილი ევროპაში, როგორც მათი ამფსონები იტყობინებოდენ.

იმის იმედიც მქონდა, რომ ქართველი ადამიანი მათთვის უცხო არ იქნებოდა და გამიწევდენ ყოველგვარ დახმარებას.

აი ამ აზრებით დავსტოვე საქართველო და მოვაწიე პარიზამდე.

აღმოჩნდა ბევრი ახალი და უცნობი ამბავი: პირველ ყოვლისა, ქართველი ემიგრაციისათვის «ქართველობა, როგორც ასეთი» არაფერს არ ნიშნავს.

საჭიროა უთუოდ «მანდატი» (განა ყველა მანდატიანები იყვნენ ვინც შეეწირენ მათ აზრებს მარშან?)

დავრწმუნდი იმაშიც, რომ მათი ყველა ცნობები —მათი ინფორმაცია ან განზრახ ყალბია, ან ილუზიებზეა აგებული, ან საბჭოთა კავშირის შინაგან სტრუკტურის უცოდინარობაზე.

დავრწმუნდი იმაშიც, რომ ქართული ემიგრაცია ისეთივე ბურუსშია გახვეული ბოლშევიკების შეფასების მიმართ, როგორიც იყო საქართველოში, სოვეტიზაციის წინ.

ჩემი თვალით დავინახე და მთელი სხეულით შევიგრძენი, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია ამ ემიგრაციის უმეტესი ნაწილი.

დავრწმუნდი იმაში, რომ თვითეული მათგანი დიდი ხმამოვნებით წავიდოდა საქართველოში, რომ მეორესი არ ერიდებოდეს.

ემიგრაცია უკვე თვით დანგრეულია, არ არის მასში ერთსულოვნება, ათას ჯგუფებათ დაყოფილა და ერთი მეორეში უკმაყოფილება აქვთ.

დავრწმუნდი იმაში, რომ ეს ემიგრაცია ევროპაში თავის ფიზიკური საშუალებების ანაბარაა. მათი დამხმარე არავინ არ არის და იგი იმ გზით, როგორც მას უნდა, საქართველოს ვერას დროს ვერ ნახავს.

აგრეთვე ვფიქრობ, რომ ის ქონება, რომელიც მათ წამოიღეს საქართველოდან, უფრო მენშევიკების პარტიულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

ეხლა ნათლათ დავრწმუნდი, რომ მარშანდელი აგვისტოს აჯანყება საქართველოში ნამდვილი ავანტიურა იყო, რომელსაც ვერაფრით ვერ გაიმართლებს თავს ემიგრაცია.

მწარე გამოცდილებამ ისიც დამანახა, რომ ბოლშევიკური გზა შრომის და მუშის დაფასებაში ეს სინამდვილე-ჭეშმარიტებაა, რომლის შეგნება მხოლოდ ლიტერატურის საშუალებით ძალიან ძნელია.

ამიტომ მე ჩემს თავს ბედნიერათ ვსთვლი, რომ მომავალში ამ დაწყევლილ ინფორმაციებს ფასი არ ექნება ჩემთვის.

და ის მაბლონური კითხვები, რომელთაც «არკვევენ» რუსთაველის პროსპეკტის ინტელიგენტები, —ჩემთვის ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილია.

ექიმი გრ. მიქაძე

წერილი საქართველოში

ღრმათ პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი ჩემი წერილი ამხანაგთან:

«საყვარელო ჩემო ამხანაგო!

დიდი ხანია, რაც მე შენთვის წერილი აღარ მომიწერია

უკანასკნელი შენი წერილი მომივიდა რვა თვის წინათ.

მაპატიე, რომ აქნობამდის პასუხი ვერ მოგწერე.

რას იზამ, ასეთია აქ ცხოვრება, თუ მუშაობ, დრო არ გაქვს, და თუ არ მუშაობ —უარესი.

გული არ გაქვს წერილზე, შენ მიხვდები რათაც.

ნიკოლოზ მიწიშვილი

პოეტს.

საკუთარ სისხლით გაზარდე ღმერთი
და უკვდავება მშობელ მიწაზე.
თავდავიწყებით თუ ვერ ამღერდი—
ვერ აენთები ვარსკვლავად ცაზე.

მიწას არ უყვარს მხდალი და კუშტი.
გამბედაობას დარჩი ვირაოდ.
დაამშობილე ტვინი და მუშტი
ბედის სასწორის დასაყირავად.

ბრძოლა-ამკარა, თუ უსინდისოდ
და სიყვარულის აღარ დათმობა—
გამართლებაა ყოველი დღისა
და გამარჯვების ალით გათბობა.

იყავი ყველას შენ ამხანაგი
და ამხანაგი არ გაიჩინო.
შენ თვითონ დარჩი შენი ბანაკი
და გაიტანე, რაც დაიჭირო.

და თუ წაიქცე მწარე ნაღველში—
ნუ გძებ ნახო მიწა ნაკურთხი:
წითელი სისხლის წითელ ნაწველში
კბილებიც წითლად გამოადუღე რთხე.

(«მნათობი»)

რვეულიდან « Le cœur tendre »

თბილისს...

დაინისლება შენი რუხი არე მიდამო,
ჩემი მთა-წმინდა, აკლდამები წმინდა მამათა,
მინდა ამაღამ შენი ნაზი ხილვა ვიწამო,
მე roi de spleen ვიქნე წუთით ლხინის თამადა...

მიყვარს შენი მზე, რომ ხწვავს: კრწანის, მარაბდას, კოჯორს,
მიწა ნაკურთხი გადამლილი ბარაქი თოხით,
ვეამბორები მაღალ მთათა ავარცხნილ ქოჩორს,
გადაქარგულებს საზაფხულო ხავერდის ნოხით.

ისუტებ გულში წითელ დროშას სისხლით დაღებილს,
შენ სულ გიყვარდა ბარიკადა, ომები ხმირი,
ჭაღარა ქართლის დაჭრილ გულში შეინახები...

ცეცხლის წვიმებმა მოიარეს მერედიანი,
ნიშნათ წარღვნისა ეს ქვეყანა დაღუპვას ელის,
დილის ლოცვებში ახალ ხმაზე მღერის დიანა,
მინდა ამ ქარში, რომ სჭექავდეს შენი სახელი.

მინდა დავეცე შენს კარებთან მგზავრი მოღლილი,
დამაავადებს შენი ტრფობა ცივ უცხოეთში,
ბევრი ვარამით გული მკვდარი და გამოხრილი,
და მორეული შენი ნატვრა ყარიბ პოეტში...

მძიმე ქარხნებმა გაიმარჯვეს, კივის საყვირი,
სასახლეებზე მზნე მეტვა ვინაც გაბედა,
ამ გაქანებას არ აქვს ბოლო და განაპირო,
გმოაჩნდებიან მზის არკაზე: რენან, გამბეტა.

ევ. სიდოშვილი
(ბაკურაძე)
18. 8. 25. პარიზი.

სხვათა შორის, შენ წერილში მამლევდი ასეთ კითხვას: «აქ ხმები დადის, რომ გრ. ვეშაპელმა უღალატაო».

მე, სწორე გითხრა არ ვიცოდი, რაში იყო საქმე, საინტერესო იყო გაგება და ვცდილობდი კიდეც.

ქართველებს, ვისაც ვხვდავდი, ვეკითხებოდი ხოლმე: «სად არის ერიგოლ ვეშაპელი?» ზოგი მათგანი მეუბნეოდა, ბერლინშიაო, ზოგი კი — აქ არის პარიზში, მაგრამ არავინ იცის იმის მისამართიო».

გავიდა დრო. ამ ცოტა ხანში შემთხვევით შემხვდა გრ. ვეშაპელი, მივეცით სალამი ერთმანეთს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ გვქონია, დავერიდე, ვიფიქრე, იქნებ არ ინდომოს ამის შესახებ საუბარი მეთქი და ვთხოვე მარტო გაზეთები.

ეს უფრო სჯობია, გაზეთებიდან უფრო კარგათ გაიგებ ადამიანის მიმართულებას, ვიდრე პირად ლაპარაკიდან..

ჩემი აზრი მართალი გამოდგა.

გეტყვი სიმართლეს, რომ სულ ტყუილი ჭორები დადის მანდ გრ. ვეშაპელის შესახებ, ამას რომ ნდომოდა ხალხის ღალატი, პირდაპირ არ გამოვიდოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

დიახ, გრ. ვეშაპელი არის ნამდვილი ერის შვილი და ქართველ ხალხის მეგობარი, რომელსაც არ უნდა, რომ ქართველი ხალხის სისხლი იყოს დაღვრილი უბრალოთ, უნდა ის, რომ ქართველ ხალხმა მოისვენოს, შეუდგეს დინჯ და კეთილ ცხოვრებას.

რა იყო ეს აჯანყება? რა მიზანი ქონდა მას? ვის უნდოდა ეს?

მე გავიგე მხოლოდ და მხოლოდ აქ, რომ იყო ეს სულელური ფახი-ფუხი, ბამბის ხრიალი.

ეს უნდოდათ იმ ბატონებს, რომლებმაც დაკარგეს სამინისტრო პორტფელები. უნდოდათ იმიტომ, რომ ეჩვენებინათ ევროპისათვის: «ნახეთ, ქართველი ხალხი ფეხზე დგას, არ უნდათ ძალით მონობაო».

იყო გაჭედილი აჯანყების შემდეგ თითქმის ყველა ფრანგული გაზეთები, ვითომ ნახეთო: «როცა ჩვენ ვიყავით, საქართველო ყვაოდაო, ძალიან ვპატრონობდითო».

ვის არ ახსოვს ომები აზერბეიჯანთან და სომხეთთან? რა დროს იყო?

ვაი იმათ ბრალი, ვინც წაქეზებულნი ერის შვილები დაიღუპნენ ტყუილ-უბრალოთ, მაგრამ ვისი ბრალია ეს?

არ ვიცი შენ სად ხარ, დედა-ქალაქში, თუ სოფელში, მაგრამ სადაც უნდა იყო, იქნება ჩავივარდეს ხელში «ახალი საქართველო» და წაიკითხავ ჩემ წერილს —პასუხს.

ვრჩები შენი ბარათის მოლოდინში.

ვალენტინა ვაშაძე
18. 11. 25 წ. პარიზი,

პატარა ფელეტონი.

ლიოზვილის მარში

წინ ნოე თავის ნაფურთხით...
აზ, უკაცრავათ—„ბრძოლითა“!
უკან ჩხეიძის რაზმები
მსვლელნი „შიშით და ძრწოლითა“!

კურდღელთა მთელი კრებული—
რაზმია, მა, რა ოხრობა!
არც თუ ადვილი საქმეა
ამდენ ყურგრძელთა მოშხრობა!

ჩხენკელის—ჟორდანიასი
„სარდალს“ წინ უვლის არმია!
... და ისმის განუწყვეტელი
აწ ლიოზვილის მარშია:

«ერთი, ორი! ერთი, ორი! მოხალისენო!
(უხალისოთ გამორეკეს თავლით ისენი!)
მეხდექ! წყნარა! ფეხი სწორა, ჩვენო არმია,
(ჭმევა ურჩი ბაჭიების დღეს ნაარმია!)
დიდი ნოე წინ მიუძღვის ნოეს პატარას!
(ბირს ნუ აღებთ, არ მიიღებთ დღეს თქვენ აქ არას!
ბრძოლით წავალთ და სულ მცირე, მოკლე ხანშია—
მე გადმოგხსნამთ თქვენ დესანტათ შორაპანშია!
იქ დაგვხვდება ყურპანტურა თავისი რაზმით!
. . . .
ერთი, ორი! ერთი, ორი! მოხალისენო!»
ემიგრანტთა აწ ეს რაზმი—ღმერთო იხსენი!...

«ტარტაროზი»

გაზეთი

„ახალი საქართველო“

გრ. ვეშაპელის რედაქციით

გამოდის პარიზში ორკვირეულად

იყიდება: თბილისში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ფოთში, სენაკში, აბაშაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათომში, ჭიათურაში, საჩხერში, თელავში, სიღნაღში, სოხუმში.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიაში აკაკი გვახარიასთან. თბილისი, რუსთველის პროსპ. № 22.

ს. დ. მუშათა კომისიის

ლიკვიდაციის გამო.*

ს. დემოკრატიული პარტია და მისი უმთავრესი შტაბი, საზღვარ გარეთის ცენტრალური ბიურო, საქართველოში მუშათა კლასის იდეურ-ფსიხოლოგიურ გადახრას ვერ «ტყობილობს», ან უკეთ რომ ვსთქვათ, «ვერ უწევს სათანადო ანგარიშს».

ს. დ. პარტიის საზღვარგარეთის გენერალიტეტმა ერთი რამ დანამდვილებით იცის, რომ თუ კომუნისტებმა მშვიდობიანი მოღვაწეობა დაიწყეს და თუ ხალხი შეეთვისა ახალ რეჟიმს, ხელისუფლებას —ეს შ ე თ ვ ი ს ე ბ ა ცუდათ იმოქმედებს «საქართველოს განთავისუფლების» საქმეზე.

იმისთვის რომ მოშალოს ეს მშვიდობიანობა, გენერალიტეტი «აქტივობას» იწყებს იმ ანგარიშით, რომ კომუნისტები აქტივობას მძაფრი რეპრესიით და ტერორით უპასუხებენ. -ეს კი ვა... ვალ ორმოს გათხრის ხალხის და კომუნისტებს შორისო —იქ, საქართველოში.

აქ, ევროპაში კი მორალურ ძალას მოგვცემს და საქართველოს საკითხი აქტუალურათ დადგებაო.

ამ მიზნით იყო გამოწვეული სვანეთის გამოსვლა, ამასვე ემსახურებოდა ბ. ჩოლოყაშვილი და მისი რაზმები...

ნ. ხომერიკის დაბრუნება საქართველოში დაგვირგვინება იყო ამ აქტივობის.

ყველა მთავრობა ცეცხლით და მახვილით ხვდება ასეთ აქტიობას; გავიხსენოთ თვით მენშევიზმის რეპრესიები ანალოგიურ შემთხვევაში: ოსეთში, აჭარაში, სამეგრელოში.

რასაკვირველია, ბოლშევიკებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ გამოსვლებს რეპრესიის ცეცხლით უპასუხეს...

ამიტომაც, მენშევიკი მუშები, მოწინავე გლეხობა და ასეთივე ინტელიგენტები «ნეიტრალურ ზონაში» მყოფნი, ფაქტიურათ უკვე დაშორებული მენშევიზმიდან, ამ აქტიობის შემდეგ «გაბრაზებულნი» ფორმალურათაც სწყვეტენ თავის ძველ ამხანაგებთან კავშირს და ოფიციალურათ საქვეყნოთ გმობენ ამ პარტიის ეხლანდელ ტაქტიკა-პოლიტიკას.

მართლაც, პირველი «გადასვლა» კომუნისტებთან, რომელიც მოხდა ამ 2 წ. წინეთ ამხ. ფარნიევის და რუხაძის მეთაურობით და რომელთაც გაყვა დაახლოებით 12.000 ს.-დ. პარტიის ყოფილი წევრები, იყო სწორეთ აი იმ გამოსვლების და აქტივობის შემდეგ, (ოზურგეთში ობოლაძის ჯგუფის დახოცვა — დუშეთში ჩოლოყაშვილის რაზმების მოქმედება).

ამ «გადასულებს» მოსყიდული და მოღალატე უწოდეს, მაგრამ საკითხავია, როდის შემდეგ შეიქნა მოსყიდული ამხანაგი ფარნიევი, ყოფილი ს.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ყ. დამფუძნებელი კრების და სახალხო გვარდიის უმთავრესი შტაბის წევრი?

ან და არ. რუხაძე, ყოფილი პოლიტიკური კატორღელი, ყოფილი რედაქტორი რკინისგზელების ორგანოს —«რკინისგზელი»!

ან და კ. თოფაძე, ყოფილი წევრი თბილისში პროფესიონალურ ცენტრალური კავშირების საბჭოსი და მრავალი სხვა ამხანაგები.

შემდეგი «გადმოსვლა» კომუნისტებისკენ ს.-დ. რაზმებისა მოხდა სწორედ აგვისტოს აჯანყების შემდეგ. ამათ მეთაურათ გაუჩნდათ ისეთივე ძველი გამოცდილი და ავტორიტეტული მუშა ლიდერები, როგორც ფარნიევ—რუხაძე და თოფაძე იყვნენ. ამხ. მ. ჭაჭანაშვილი, კუპრაშვილი, ს. დოლიძე და სხვები.

ერთ წელზე მეტია, მუშათა კომისიამ, რომელსაც ეს ამხანაგები შეადგენენ, ენერგიული მუშაობა ჩაატარა. მუშათა კომისიამ დაისახა მიზნათ სამოქალაქო ომის ნაშთების ლიკვიდაცია. ამ მიზნით ის დადიოდა საქართველოს ქალაქათ და სოფლათ მუშებში, გლეხებში, ახალგაზრდებში და ინტელიგენტებში, წევდა პროპაგანდა-აგიტაციას და მოუწოდებდა ხალხის იმ ნაწილს, რომელიც სამოქალაქო ომის მსვლელობაში იყო ჩათრეული, დაბრუნებოდა მშვიდობიან მყუდრო ცხოვრებას. მან ბევრი «ტყვიით გაჭრილი» ხალხი შეარიგა მთავრობას.

ამავე დროს ის კრეფს ცნობებს პროვინციებში ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენლის ყოფა-ქცევა და მოღვაწეობის შესახებ და თუ ესა თუ ის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე —ცენტრალური მთავრობა მესაფერისი განკარგულებით ადგილობრივი მოსახლეობისათვის დადებითად სწყვეტს ამ საკითხს.

მუშათა კომისიის წარმომადგენლები მიემგზავრებიან რუსეთს, პოლიტიკურ გადასახლებულებს უკეთებენ მოხსენებას, აცნობენ ყოველმხრივ საქართველოს მდგომარეობას და შედეგათ ამისა 80 ათასი მეტი გადასახლებულებისა ბრუნდება უკან სამშობლოში.

ამ დაბრუნებულებში ჩვენ ვხედავთ რამოდენიმე ცნობილ ყოფილ სოც.-დემოკრატებს, მაგალითად, ძველი დამსახურებული პარტიის წევრი არსენ წითელიძე, პავლე ბერიშვილი, ს.-დ. ყოფილი დამფუძნებელი პარტიის წევრი; ისიდორე ლომთათიძე, გურიის ს.-დ. პარტიის ყოფილი თავჯდომარე; ლიზა ბოლქვაძე, ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი და ბევრი სხვა.

გასულ თვეებში მუშათა კომისიამ მოიწვია რწმუნებულების კონფერენცია, რომელზედაც სხვათა შორის დაესწრო ამხ. კ. სულაქველიძე. მთელი რიგი საყურადღებო კითხვების შემდეგ, რომელზედაც რწმუნებულებმა იქონიეს მსჯელობა, დაისვა კითხვა მუშათა კომისიის რეორგანიზაციაზე.

გადაწყდა დაარსდეს კომპარტიის ცეკასთან მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება; აგრეთვე გადაწყდა გამოუშვან ყოველ კვირეული ჟურნალი «ახალი გზა»; ეს ორგანო არის «კომუნისტის» ყოველკვირეული დამატება. მის რედაქტორათ მოწვეულია ამხ. სულაქველიძე.

მუშათა კომისიის ირგვლივ თავი მოიყარა 11,000 ყოფილმა ს.-დ პარტიის წევრებმა; ამ რიგათ ფარნიევის და ჭაჭანაშვილის მეთაურობით (ფარნიევს გაყვა 12,000 კაცი), 28,000 ჩამოსცილდა ქართულ ს.-დ-ას.

ჟურნალ «ახალ გზაში» ყოფილ მენშევიკებს, რომლებიც უკვე დადგნენ საბჭოთა პლატფორმაზე, თავისუფლათ შეუძლიათ დაწყებული იდეური მუშაობა განაგრძონ. აგრეთვე მათ შეუძლიათ აწარმოონ საქმიანი ობიექტიური კრიტიკაც, ვინაიდან კომუნისტურმა პარტიამ უკვე ნათელყო, რომ მას არა თუ არ ეშინია კრიტიკის, არამედ თვითკრიტიკას არ ქონდა არც ერთ პარტიის პრაკტიკაში იმოდენა ალაგი დათმობილი, როგორც ეს კომუნისტებს აქვთ...

და სწორათ ამ თვითკრიტიკის საშუალებით ეს პარტია აჯანსაღებს თავის რიგებს და მართავს მთელ სახელმწიფოს. 11,000 ყოფილი ს.-დ., რომლებსაც ჭაჭანაშვილი და სხვები მეთაურობენ, ჯერ არ არიან კომუნისტური პარტიის წევრები, მაგრამ მათი მიღება პარტიაში ალბათ ახლო მომავლის საქმეა. ეს ხალხი მოწინავე მუშები და გლეხებია. სუყველას მათ რევოლუციონური სტაჟი გავლილი აქვთ.

ნაძალადევის რაიონში, ყოფილმა მენშევიკ მუშებმა კომუნისტურ ორგანიზაციებს აგრე დაუყენა კითხვა: —ამხანაგებო, მოვედით ჩვენ, მთელი ჩვენი არსებით. კომუნისტური პარტიის გამაგრება გაძლიერებას მოხმარდება ჩვენი გავლილი სტაჟი, და ეს სტაჟი ჩვენ უნდა ჩაგვეთვალოსო.

მუშები, რასაკვირველია, არ მიდიან კომუნისტებისაკენ «დიპლომატიური» ფორმულების საზომით: იმდენათ, ან ამდენათ, არამედ მივლენ გაბედულათ და შეაღეს კარები მათ საკუთარ ოჯახში.

ამიერიდან ისინი იგივე კომუნისტების წითელი დროშის დამცველნი და მისთვის სისხლის დამღვრელნი არიან.

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ის მოწოდება, რომლითაც მათ სხვათა შორის მომართეს ს.-დ. ემიგრანტებს აქ, საზღვარ გარეთ. ამ მოწოდებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ისინი (ყოფილი ს.-დ. წევრები) კომუნისტებთან ერთად იბრძოლებენ კომუნისტების მტრების საწინააღმდეგოთ —ჩვენი ბარიკადა და კომუნისტებისა ერთია—ჩვენ საერთო ბარიკადებში გამაგრებული ვიბრძოლებთ ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კომუნისტებს შეებრძოლება —ჩვენთვის სულ ერთია, ვინც იქნება მოწინააღმდეგე — ბარიკადებზე საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა წყობილებას სისხლით დავიცავთო!»

აი აგრეა ეხლა კითხვა დასმული და კითხვა ისმის ამ განცხადებაზე და მოწოდებაზე (საქართველოში დარჩენილი ამხანაგები მოუწოდებენ ემიგრაციაში მყოფ ამხანაგებს დაბრუნდენ სამშობლოში).

რას იტყვის ამაზე სოც.-დემ. ემიგრაცია და მისი შტაბი —ცენტრალური ბიურო? რას იტყვიან «ბრძოლის» პუბლიცისტები? 28,000 კაცი წავიდა, მუშებმა თვით გამონახეს თა-

*) იხ. «ახ. საქ.» № 17.

პრაღის კოლონიაში

ი. გაბუნიას სიტყვა საბჭოთა ქართული საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე.

ნება მიბოძეთ, უსურვო სალამი და ქართული გამარჯვება ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს, საქმეს რომელიც ხასიათდება ემიგრაციაში დაწყებული გამოღვიძების მომენტით და მავნე პოზიციების და ილუზიების მიტოვებით, ხოლო დაწყებით უფრო სასიხარულო და სამეცნიერო ხანის, —შინდაბრუნების და ერისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების.

დღეს, აქ ქ. პრაღაში, ცენტრალურ ევროპის შუა გულში, სამირკველი ეყრება ბერლინისა და პარიზის შემდეგ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ქვეშევრდომ ქართველების გამაერთიანებელ ორგანოს —ახალ ქართულ საზოგადოებას, რომლის მიზანი იქნება სულიერი და კულტურული საზრდო მიაწოდოს თავის წევრებს და ამავე დროს დაუახლოვდეთ შინ არსებულ სინამდვილეს. ამ საზოგადოებამ დახმარება უნდა გაუწიოს აგრეთვე ყველა იმ ემიგრანტებს, რომლებიც გულწრფელად და შეგნებულად თვითონვე მოისურვებენ შინ დაბრუნებას.

მართალია, დღეს ჩვენს კრებაზე ბევრი ქართველი ემიგრანტი არ ესწრება და ჩვენთან ერთად არ იმყოფება აქ, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ მართლები არ ვიყოთ ამ გზის შეგნებულ არჩევაში და გაზეთ «ახალი საქართველოს» იდეოლოგიური მიმართულების გაზიარებაში. პირიქით, ჩვენი დღევანდელი გაბედული ნაბიჯი ნათლად მოწმობს იმას, რომ ჩვენი იდეა სწორია და უთუოდ გამარჯვების მომტანი და რომ ეს ასეა, ამას სავსებით ადასტურებს მთელი რიგი ძვირფასი თანამემამულეების შინ დაბრუნების ფაქტი უცხოეთიდან. ხოლო საქართველოში კი შერიგების გზაზე დადგომა აუარება რიცხვი გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა; ასეთებს შეადგენენ: ს. დევდარიანი, ბ. თუვზაია, ს. ფარნიევი, ი. გედევანიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო, ქართველ მწერალთა და ხელოვანთა კავშირი, ნ. ნიკოლაძე, ი. გომართელი, პ. გელეიშვილი, გრ. ვეშაპელი, კ. სულაქველიძე და მრავალი სხვები (ბოდიშს ვიხდი თუ უდროობის გამო ვერ შევიძელი ქრონოლოგიის დაცვით აღმენიშნა შესაფერ პოზიციაზე დამდგართა სახელები). ჩამოთვლილ პირთა და ორგანიზაციათა «ტყვიით» ან «ჩეკით» შეშინებით, ან კიდევ «ოცდა ათი ვერცხლის» ვითომ და მიღებით —«მოსყიდულებათ» გამოცხადება, როგორც ამას ქართულ ემიგრაციის პრესაში ადგილი აქვს, სხვა რომ არა ვთქვათ რა, დიდ სიბრიყვეს ნიშნავს! ასეთი პრიმიტიული მეთოდით სხვა და სხვა მოვლენების ახსნა გაგებამ უკვე საკმაო უბედურება დაგვატეხა თავს და დროა, რომ ასეთი არა მკითხე ჭირისუფლები ჩვენმა ხალხმა თავიდან მოიშოროს.

«საცა არა სჯობს გაცლა სჯობს» ამბობს ქართველის სიბრძნე. და მაშასადამე თან და თან საკუთარი გზით, ცალცალკე მაგრამ ყველამ ერთად მივედით იმ სწორ დასკვნამდე, რომ საქართველოში დაბრუნება გვირჩევნია აქ უაზრო ხეტიალს, ცოცხალი ძალების გადარჩენა, ავანტიურიზმის პოლიტიკის უარყოფა და სამშობლოში დაწყებული აღმშენებლობითი მუშაობისთვის და მშვიდობიანი ცხოვრებისთვის ხელის შეწყობა; ერში ჭორების გაფანტვა და აქაური ობიექტიური ცნობების მიწოდება.

ამ ხუთი წლის განმავლობაში, შინ დატრიალებულმა მთელმა რიგმა პროვოკაციულ ნაბიჯებისამ ბ. ჟორდანიას «მთავრობის» წყალობით და ჩვენი საგარეო მდგომარეობის საკმაო გაცნობამაც უკვე აშკარა ყო ჩვენთვის და პირადათ ჩემთვისაც, რომ ასეთი «გზებით» სიარული ჩვენ ქვეყანას პროგრესიულათ მიაქანებს დაღუპვისაკენ.

მეორე ინტერნაციონალზე იმედების დამყარებით **1924** წ. აგვისტო-სექტემბრის აჯანყების მოწყობით, ხომ სავსებით გამოაშკარავდა «პარიზელების» ფუქსავატობა? აი, ეს იყო სწორეთ ის ცოცხალი მაგალითი ერის სხეულზე უპასუხისმგებლო ჯირითის, საიდანაც ყველას შეუძლია შესაფერისი დასკვნების გაკეთება და საჭირო ნაბიჯის გადადგმაც

გარდა ამისა, ჩვენთვის დიდი ჭკუის სასწავლებელი მაგალითია ის მდგომარეობა, რომელიც განიცადა და განიცდის მეზობელ სომხის ერმა დაშნაკელთა პოლიტიკანობის წყალობით!

ხოლო, თუ კი არ გვინდა ვიყოთ მოწმენი ამაზე უარესი ბედის მიღების, საჭიროა დროზე თავის დაღწევა იმ «ხალხის» გავლენიდან, რომლებიც ასეთ სახიფათო შარა-გზით სიარულს გვირჩევენ.

დადგა დრო დამშვიდების, გონების ამოძრავების, გამოღვიძების, თვალების ამოფშვნეტის და გაგების თუ სად ვართ, საით მივექანებით და ვის მივდევთ?

ის რაც არ ყოფილა შედეგი ეროვნულ ძალთა ბუნებრივ განვითარების, —გაქრა.

1918 წ. **26** მაისს ჩვენ მიერ იგიც «გაუბედავათ» გადადგმული ისტორიული «ნაბიჯით» გაკეთებული ნახტომი ისტორიამ არ გვაპატია.

ბუნებრივი ორიენტაციის უხეირო უარყოფამ უკვე საკმაოდ დაგვტანჯა და „ქარის მოტანილი ისევ ქარმა წაიღო".

მართლაც და «გათავდა იგი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა». (**1918-21** წ. თებერვლამდე არსებული) სამაგიეროთ სამშობლოში დაიწყო ახალი ამბავი, ახალი ცხოვრება, ახალი ერა აშენების-აღორძინების და წინ სვლის, რომლისთვისაც საჭიროა ხელის შეწყობა და დახმარება და არა სადღაც თავქუდ მოგლეჯილი გაქცევა, როგორც ამას დღემდე ჩავდიოდით.

1921 წლის თებერვლიდან საქართველოში დამყარდა ნორმალური პირობები ჩვენი განვითარების მიხედვით წარსულში; ის უფლებები, რომლითაც ჩვენი ქვეყანა დღეს აღჭურვილია საბჭოთა ფედერაციაში ყოფნით, გარწმუნებთ უფრო მეტის მომტანია ჩვენი მომავლისათვის და ეროვნული კეთილდღეობისთვის ვიდრე ევროპაში საპროვოკაციოდ «გაშვერილი ხელი».

ჩვენი ბედის აქ მებნას წარსულ საუკუნოებშიაც ქონდა ადგილი და მაშინაც ეს „ხელი" ისევე აერში დარჩა, როგორც ამას ჩვენ დღეს ვხედავთ.

მაშასადამე რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ ჩვენ აქედან?

ის დასკვნა, რომ ეს „გზები" არ არიან ჩვენთვის სწორი ორიენტაციის და ბედნიერების მომპოვები.

ამიტომ, როგორ სჯობია ჩვენთვის სიარული?

ჩვენთვის, ძვირფასო თანამემამულენო, აიასწილად უმჯობესია ეროვნულ მოთხოვნილებათა მაქსიმუმის წამოყენებით და ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ინტერესთა შეჯახების ბაზად გადაქცევის მაგიერ, უარვყოთ ეს ზიანის მომტანი მაქსიმუმი ეროვნულ მოთხოვნილებათა და ჩავდგეთ ცხოვრების ერთჯერ ნორმალურ და მშვიდ კალაპოტში, —დავკმაყოფილდეთ საბჭ. ფედერაციაში (კონსტიტუციაში) ჩვენი უფლებებით და შევუდგეთ ამ დიდ ოჯახში ხელი-ხელ ჩაკიდებულათ ძმობა-ერთობა-მეგობრობის გზით სხვა ერებთან ერთად ჩვენი დანგრეული კერის აშენების საქმეს.

ამ პოზიციას ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი, ალბათ კიდევ არ გაიზიარებს, მიუხედავათ მრავალი გაკვეთილებისა და «ძველებურათ» იქით-აქედან შემოგვიტევენ.

ეს სავსებით ბუნებრივი და მისახვედრი მოვლენაა, ზოგი ჯერ კიდევ «სიზმრებ»-შია და ოცნებებში და სინამდვილეს პირდაპირ აღარ უყურებს. თუ ეს შემოტევა ისეთი უხეში ფორმით მოხდა, როგორც ამას ქ. პარიზში **9** აგვისტოს ა. წ. ქონდა ადგილი, უნდა აშკარად ითქვას, რომ ქართულ ემიგრაციის სრულ გამოფიტვასთან, ზნეობრივი მხარეების დაქვეითებასთანაც გვაქვს ადგილი!

თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე დაგვიწყებ ბრძოლა და ეს მეორე გზა აირჩიეს, ჩვენ სიამოვნებით ვღებულობთ და აი აქ მევეცდებით საბუთებით ხელში მათი „აქაური საქმიანობის" ამბების გამომჟღავნებას და ობიექტიური მიდგომით მხილებას.

ჩვენი იდეოლოგიური ბაზის დაცვას ჩვენ არასოდეს არ გაურბივართ და არც უკან დავიხევთ.

აი ამ მწარე მოვლენების მოკლე მიმოხილვის შემდეგ უფრო უკეთესია შევეხოთ მიმდინარე საქმიანობის კითხვებს და დღევანდელი კრების მიზნებს.

ჩვენი დღევანდელი კრება არის ისტორიული ხასიათის მოვლენა ქართული ემიგრაციის მასშტაბით.

ჩვენი მოვალეობა იქნება მოვსპოთ მთელი რიგი ჭორებისა და ყალბი ილუზიების. აგრეთვე უნდა დაუახლოვდეთ შინ არსებულ სინამდვილეს და გადაუმახინჯებლათ მის შესახებ ცნობები მივაწოდოთ უცხოეთში მყოფ ქართველებისადმი. უნდა გავაბათ სულიერი კავშირი ჩვენს სამშობლოსთან, მივიღოთ ჟურნალები, გაზეთები, პერიოდიული გამოცემანი, წიგნები და აგრეთვე შევკრიბოთ ყოველ დარგიდან იქაური ცხოვრების ცნობები აღმშენებლობითი მუშაობისა და უხვად მივაწოდოთ უცხოეთს.

დემ, ყველამ იცოდეს, თუ როგორი სისწრაფით მიაბიჯებს წინ ჩვენი ქვეყანა განვითარებისაკენ.

დაუკავშირდებით აგრეთვე არა მარტო შინ არსებულ ამბებს, არამედ უცხოეთში ანალოგიურ საზოგადოებებს და ყველა ერთად ძმური- მეგობრული გზით ამ ფრონტზე მტკიცედ დავდგებით.

აქ უნაყოფო ყოფას, გადაგვარებას, დაავადმყოფებას და სულიერ გამოფიტვის ნაცვლად, შეგნებულად შინ დაბრუნება გვირჩევნია.

ჩვენ შევეცდებით დიდის სიხარულით და თანაგრძნობით შევხვდეთ ყველას, ვინც კი ჩვენთან მოსვლას დააპირებს და შემოგვეშველება, რომ გაუადვილოთ გზა შინ წასვლისათვის.

ჩვენი მიზანი არ იქნება სრულებით ვინმეს «გულში ხელის ფათური» დავიწყოთ, ისედაც დანერვიანებული ნერვები აუშალოთ და გადავიმტეროთ, პირიქით მათთან ვიქნებით საუკეთესო დამოკიდებულებაში გარდა იმ პირებისა, რომლებიც ოფიციალურ «შტაბის» წევრთა შორის ირიცხებიან. ამ უკანასკნელთა მავნე მოღვაწეობის და შეცდომების გამომჟღავნება კი ჩვენ პირდაპირ მოვალეობათ მიგვაჩნია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ დრო უთუოდ თავისას იზამს, ბუტიების «ბაბილონი» უთუოდ დაინგრევა და ჩვენ ყველანი იქ წავალთ «სადაც სიყრმითვე ვშობილვართ», სადაც სიცოცხლე სდუღს და სადაც ახალი საქართველოს ცხოვრება იჭედება.

თუ მტკიცედ, შეგნებულად, შესმენილად და ფხიანად მოვიქცევით. ამ ჩვენს პოზიციებზე ბევრ ძვირფას მეგობრებს და თანამემამულეებს შემოვიკრებთ და ჩვენ რიგებს სწრაფათ გავზრდით...

აი ასეთია ჩვენი გზა, ჩვენი მომავალი პოზიცია ე. ი. საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად პატიოსნად თანამშრომლობა კულტურულ ეკონომიურ ნიადაგზე. ემიგრაციის დამღუპველ პოლიტიკისადმი ზურგის შექცევა და «ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ» სამშობლოს კალთებში მომუშავეობისთვის ხელის შეწყობა.

ვინც ამ ჩვენს გზას გაიზიარებს, სიხარულით დავხვდებით ყველას და ყოველთვის.

ჩვენი დევიზია:

Un tiens vaut mieux que deux tu l'auras.

ქრონიკა

2 იანვარს თბილისში გარდაიცვალა მ ი ო ა რ ა გ ვ ი ს პ ი რ ე ლ ი (დედაბრიშვილი). დაკრძალულ იქნა დიდუბეში.

ი. მამულია

პარიზში ჩამოვიდა თბილისის სახალხო ჯანმრთელობის სეკციის გამგე ი ლ ი ა მ ა მ უ ლ ი ა.

სტუდენტთა ყრილობა

ბერლინში შედგა ამიერ-კავკასიის სტუდენტთა ყრილობა. არჩეულ იქნა ახალი ცენტრალური გამგეობა, რომელშიაც შედიან: ვ ა რ ძ ი ე ლ ი, ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ზაზარიანი, მიქაელიანი, სულტანოვი, მუსტაფაევი და ვალინვი. კანდიდატებათ: ჯარყავა, ტერ-მკრტიჩიან და ჯაფაროვი.

როგორც ყრილობის სტატისტიკით სჩანს, უმეტესობას საბჭოთა ამიერ-კავკასიის სტუდენტობისას ევროპაში ქართველები შეადგენენ.

ბაბე

გაზეთი «La Presse Coloniale» (9. 1 26) იტყობინება, რომ ვიკტორ ბაბე, ყოფილი მდივანი მენშევიკური ლეგაციისა პარიზში, აუნიშნავს [illegible] საფრანგეთის მთავრობას აფრიკაში.

მენშევიკების შემდეგ სხვა ამნაირივე ხალხის მოძებნა ბატონ ბაბეს მართლაც და მარტო ეკვატორიალურ აფრიკაში თუ შეეძლია!..

ჩვენი ფოსტა

«ქართველს» (აქ). თქვენ მიერ გამოგზავნილ ცნობას. თითქოს პარიზში მოწყობილა კოლონიის მასშტაბით მეგრული არალეგალური საზოგადოება «ოდიში». ანგარიშს ვერ გაუწევთ, რადგან ცნობა ა ნ ო ნ ი მ უ რ ი ა...

ვისი გზა —მათ თვით გაუჩინეს მუშა ლიდერები, რომლებმაც ისინი კომუნისტებს შეარიგა!..

აქ სავსებით გამართლდა ნ. ჟორდანიას ნათქვამი, (მაშინ კიდევ როცა ის რუსეთის ს.-დ. პარტიის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწე იყო): «ნუ იმედოვნებენ მუშათა კლასის მტრები; ბოლშევიზმის და მენშევიზმის ბრძოლა შინაური ბრძოლაა —ცოცხალი ორგანიზაციის თანდაყოლილი თვისებაა —ბოლშევიზმი და მენშევიზმი არის სისხლი სისხლისაგან და ხორცი ხორცისაგანი».

ნოეს ეხლა აღარ ახსოვს, ან და განგებ ივიწყებს. ქართველ ს.-დ. მუშებმა კი, ნოეს მიერ აღზრდილებმა, ეს ფორმულა მშვენიერათ შეისწავლეს და სისრულეშიც მოიყვანეს.

და როდესაც «ბრძოლის» ფალავანდები გამოდგნენ და იძახიან: თითო-ოროლა პირი წავიდნენ კომუნისტებიდანო —ეს კი ნამდვილი ცინიზმია და ამავე დროს თვალების განგებ ბრმავებაა.

«სოციალისტური ვესტნიკის» № 22 (რუს მენშევიკების საზღვარგარეთული ორგანოა) ვიღაც ქართველი სოციალდემოკრატი აწერს მდგომარეობას საქართველოში და ამბობს: აჯანყების შემდეგ ქართული სოც.-დემ. მდგომარეობა უნუგეშო, კრიტიკული იყო, ძალები სოც. დემოკრატებისა განადგურებული აღმოჩნდა; ბოლშევიკებმა საშინელი რეპრესიები დაატეხეს თავს ჩვენ ამხანაგებსო. ამ საშინელმა რეპრესიებმა გამოიწვიეს ჩვენი ორგანიზაციის დაშლა, მაგრამ 30 წ. მუშაობამ არ გაიარა უნაყოფოთ, განელდა თუ არა რეპრესიების ქარცეცხლი —ორგანიზაციები, თუმცა და დიდი გაჭირვებით აღდგენილ იქმნენო. ფარნიევს და რუხაძეს საბოლოო ანგარიშით არავინ გაჰყვაო. რაც შეეხება «მუშათა კომისიას», აქაც მუშები და გლეხები თუ მოდიოდნენ მათ მიერ გამართულ კრებებზე და ხანდახან ოვაციასაც თუ უმართავდნენ მათ, ამას მხოლოდ იმისთვის ჩადიოდნენ, რომ თავი გადაერჩინათ, ისე კი სოც - დემ პარტიის პატრიოტები დარჩნენო... მაგალითად, ყველაზე უწინ თბილისში აღდგა სოც.-დემ. ორგანიზაციაო, შემდეგ გურიაში და სხვაო. ამ ბოლოს კონფერენცია მოვაწყვეთ, ამან აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი და გაჩაღდა პარტიული მუშაობაო.

არ უარყოფს რა საბჭოების ევოლუციის შესაძლებლობას, და მით უმეტეს ევოლუციას საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებისას რუსეთში, ყრილობა მთავარ ყურადღებას აპყრობს შინაურ და გარეშე კონფლიქტებს და გართულებებს, რომელიც გამომდინარეობს თვით კომუნისტური რეჟიმის ბუნებიდან. ამიტომ პარტია მოვალეა შეხვდეს ამ მომენტს ორგანიზაციულად და პოლიტიკურათ შეიარაღებული...

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ს.-დ. ემიგრაცია და მისი შტაბი «ცენტრალური ბიურო» იძულებული იყვნენ «სოციალისტურ ვესტნიკში» დაეწერათ რაიმე. რუსი სოც.-დემ. იცნობენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას. იცნობენ აგრეთვე დევდარიანსაც, რომელმაც ავანტიურის ტაქტიკა არ გაიზიარა და ამის გამო მას ანათემა გამოუცხადეს.

რუს სოც.-დემ. ისიც იციან, რომ ქართული მენშევიზმი ნაციონალურ ნიადაგზე შედგა და ბოლშევიზმთან ბრძოლას აპირებს სულ სხვა მეთოდებით, ვიდრე ეს რუს მენშევიკებს აქვთ მიღებული ბოლშევიკების წინააღმდეგ... (გაიხსენეთ აპრამოვიჩის წერილი). და აი დღეს გამომდგარან და «სოციალისტური ვესტნიკის» ფურცლებზე. ჩვეულებრივი ტყუილით, რუს კოლეგებს აჯერებენ: საქმე არც ისეა, და ბოლოს ორგანიზაციები საქართველოში უკვე აღდგენო...

ჩვენ, რასაკვირველია, მიზნათ არ გვაქვს ამ ტყუილებზე აქ შევჩერდეთ, საქართველოში რა მდგომარეობაა დღეს, ეს ყველამ იცის. რომ სოც.-დემ. ჩამოშორდა ფარნიევის და ძამანაშვილის მეთაურობით **23,000** ს.-დ. წევრი, ეს ყველას მიერ ცნობილი ფაქტია. რომ საქართველოს სოც.-დემ. პარტიამ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისმა საზღვარგარეთელმა ლიდერებმა, უზურპაციით და დიქტატორული მეთოდებით, სოც.- დემ. პარტია მიიყვანეს სრულ კატასტროფამდე.

მეორე მხრივ უწინდელი ს.- დ. პარტიის მუშაობა (**30** წ. ხალხში მუშაობა) და ამ ნიადაგზე ხალხის ნდობა და პარტიის ავტორიტეტი აგვისტოს ავანტიურით სავსებით გააქარწყლეს და ამიტომ სოც.-დემ. რიგებში ეხლა აღარავინ იცდის.

ვიმეორებ. ეს ყველასათვის ცნობილი ფაქტია. მხოლოდ ერთ გარემოებას მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო. «სოციალისტურ ვესტნიკში» ქართველი ს.-დ. ვერ ბედავს სთქვას ის, რასაც «ბრძოლის» **№ 5** ასე რიხიანათ ამბობენ. აქ არაა ლაპარაკი იარაღის ჩხარუნზე; აქ არაა ლაპარაკი საგარეო და საშინაო (უფრო კია საგარეო იმის იმედი) გართულების დროზე, რომელიც დაუდგება საბჭოთა რესპუბლიკებს, ს.-დ. პარტია უთუოდ ისარგებლებსო. (მართალია ეს აზრი არის გატარებული ქ. ს.-დ. წერილში, მაგრამ ბუნდოვანათ). და აი აქ მეორდება ის აღმოსავლეთური დიპლომატია, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს საზღვარ-გარეთის ს.-დ. ცენტრალური ბიურო.

აქ, ევროპაში, —მე ამას გაძაჭრით ვაცხადებ— მეორე სოციალისტურ ინტერნაციონალში და აგრეთვე ემიგრანტ ს.-დემოკრატებში საზღვარ-გარეთელი ბიურო სულ იმის მტკიცებაში იყო, რომ ის აჯანყების წინააღმდეგია... და თუ ხალხმა, აჯანყება სტიქიურათ ჩაატარა, (აგვისტო) მაშინ მას რაღა გზა დარჩენია, თუ არა აჯანყებას მიემხროს და ხალხთან ერთად იბრძოლოს...

მეორე მხრივ, იქ, საქართველოში წლობით ქმნიდა ილუზიას, ხალხს და პარტიას აიმედებდა, იარაღით დემონსტრაციებს ურჩევდა. აჯანყებას წლობის განმავლობაში მეთოდიურათ აწყობდა და ბოლოს ამ ავანტიურის შედეგები რომ გამომჟღავნდა და საქართველოს ხალხი სისხლში მოცურდა (ს.-დ. პარტიის წევრები თითქმის სავსებით განადგურდა ფიზიკურათ)— აქ, ევროპაში, ნიტების წვრას მიყვეს ხელი და ეს მათ მიერ მოწყობილი სისხლის ღვრა სტიქიურ მოვლენათ გამოაცხადეს და, როდესაც ემიგრანტ ს.-დ. ამის გამო «აჯანყდენ», მათ პირდაპირ განუცხადეს: «ჩვენ არაფერ შუაში ვართ; იქ, საქართველოში, თვით მოაწყო პარტიამ და ხალხმა ეს გამოსვლაო... და ბოლოს რა უყოთ მერმე, რაც მოხდა უნდა მომხდარიყო... ერს თუ განთავისუფლება უნდა, მსხვერპლიც უნდა მიიტანოს **5-10** ათასი უთუოდ გაწყდება, რომ საქმე გაკეთდესო...

დიახ, რასაკვირველია, პარიზში მოწყობილი ლიდერებისათვის ადვილია ასე გულგრილობა, სხვისი სისხლით და ძვლებით ვაჭრობა. და აი სწორეთ ამ ლიდერების პროვოკაციამ დაჩქარებით აუხილა თვალი ს.-დ. მასსებს და დღეს ეს ხალხი წყევლა-კრულვით იხსენიებს მათ.

ამ დღეებში ვლასა მგელაძე დაბრუნდა საქართველოდან (იქ არალეგალურათ ცხოვრობდა და ხაზეინების დირექტივებს ატარებდა ცხოვრებაში). როგორც გადმოგვცეს მას საჯარო პარიზის ქართულ ს.-დ. კრებაზე გაუკეთებია მოხსენება, და მოყოლია ახალ ზღაპრებს: «ხალხი ისევ ჩვენთან არის. პარტია აღდგა და ემიგრანტ ლიდერებზე ლოცულობსო»... როგორც ლიდერებმა, ისე მასამ ს.-დ., რასაკვირველია არ იცის, რომ ყოველივე ეს ტყუილია. რომ აქ ვლასას როგორც ყოველთვის, «ზაკაზით» ალაპარაკებენ. მაგრამ ასე იტყუებენ თავს და რა გაეწყობა...

მეორე მხრივ, ალბათ მეორე კონსპირატიულ კრებაზე, სადაც პარტიის გენერალიტეტი და არისტოკრატია შეიყრის თავს, ვლასა სულ სხვანაირ მოხსენებას გააკეთებს და ეს მოხსენება სიმართლესთან ალბათ ახლო იქნება...

და ის «ოპოზიცია». რომელიც ეხლა «კრიტიკის ქარცეცხლში» ატარებს ნ. რამიშვილს თავის ურა-პოლიტიკისათვის, მოისმენს რა ვ. მგელაძის კონსპირატიულათ გაკეთებულ მოხსენებას, ამით დაკმაყოფილდება ოპოზიციას არაფერი უნდა. ოღონდ მას გაუწიე ანგარიში, სიმართლე შეატყობინე. უფლებაში შეიზიარე და ის ყოველივეს თმობს, შერიგება ადვილათ ეხერხება. რასაკვირველია, ეს მოჩვენებითი ოპოზიცია სხვანაირათ ვერ იბოგინებს. ან და რა ოპოზიცია? სად არის ეს ოპოზიცია? ყოველივე ის რაც საქართველოში მოხდა იმის შემდეგ ნამდვილი გულწრფელი საქმიანი ოპოზიცია ვერ გაჩერდება ავანტიურის ავტორებთან, და ეს ოპოზიცია ჩერდება კი არა. **3** მაისს **1925** წ. რეზოლუციით, წინ ასწრებს მას და რეზოლუციაში შეაქვს (რეზოლუციის მე-10 მუხლი) იარაღის ჩხარუნი და მაშასადამე პასუხისგებელია, როგორც გასულ სისხლის ღვრაში ისე მომავალში, რომელსაც ალბათ უთუოდ დაღვრის პარტია შესაფერ მომენტში...

ამნაირათ ჩვენ გვაქვს საქმე თვით ს.-დ. პარტიასთან და ამიტომ საქართველოს მუშების და მშრომელი მასების წინაშე პასუხისმგებელია არა მარტო რამიშვილის ტიპის ლიდერები, არამედ «მოოპოზიციე» ჯგუფებიც.

ალფესი ხელაძე

1. XII. 25.

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, Impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.650

Le Gérant : L. BAR.